



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 50

2011 წლის 29 აპრილი
ქალაქი ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტში ფაშიზმზე გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი
ღონისძიებების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის
16-ე მუხლის 3-ე პუნქტის შესაბამისად,

ფაშიზმზე გამარჯვების დღის აღსანიშნავად:

1. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას განახორციელოს შემდეგი ღონისძიებები:
 - მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა მემორიალის გვირგვინით შემკობა
 - ომის ვეტერანებისათვის საზეიმო ღონისძიების მოწყობა
 - საზეიმო ღონისძიების დასრულების შემდგომ ბანკეტის გამართვა.
2. საზეიმო ღონისძიებები დაფინანსდეს ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული შესაბამისი ასიგნებებიდან.
3. ეთხოვით ადგილობრივი ბეჭდვითი ორგანოს წარმომადგენლებს უზრუნველყონ ფაშიზმზე გამარჯვების დღის აღსანიშნავად გამართული საზეიმო ღონისძიებების გაშუქება.
- 4 განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე
- 5 განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხაშურის რაიონულ სასამართლოში (კოსტავას ქ. №15) მისი გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე:

დავით ლომიძე

